საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი, 22 მაისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 111

ერთობა

ფასი 1 მან

გაზეთი ღირს: 1 თვით 15 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართ. სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

დედა, გიორგი, ოლღა და ბარბარე ცაგარეიშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს ძვირფასი

ფეოდოსია დავითის ასულის ცაგარეიშვილის

გარდაცვალებას. გასვენება ხიზაბავრის სასაფლაოდან 22 მაისს დილით 8 ს. და წაასვენებენ ს. პატარა ჯიხაიშში.

მარო, მიტრო და შვილები: გიორგი და თამარი [illegible] აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს 3 [illegible] დის და მეორეს [illegible] დის

ფეოდოსია დავითის ასულის ცაგარეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მიხ. საავადმყოფოდან 22 მაისს დილის რვა საათზე და წაასვენებენ ს. პატარა-ჯიხაიშში.

დამწუხრებულნი: დედა [illegible], ძმა [illegible]; დები: [illegible] და ვარვარა [illegible] ნათესავებით და ნაცნობით, რომ 26 მაისს დილის 12 ს. სოფ. [illegible] ეკლესიაში დანიშნულია ერთი წლის თავი, შარშან 26 მაისს ტრაგიკულად დაკარგული [illegible] ჯარისკაცის

ანდრია სოფრომის ძე ცომაიას

სულის მოსახსენებლად.

გულდაწყვეტილნი: დედა [illegible], ძმები: ვლადიმერ, ვალერიან და გრიგოლ მგალობლიშვილები, დები: პეპო მამაცაშვილისა, ელისაბედ კალანდარიშვილისა, ფორინე ძნელაძისა, [illegible] რიონაშვილისა, სიძეები: [illegible] მამაცაშვილი, ქრისტე კალანდარიშვილი და მიხაკო რიონიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობარ ნაცნობებს საყვარელი

ნატალია მგალობლიშვილის ასულის აროშიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 მაისს დილით ხუთშაბათს ს. ქვიანში (ნიგოითის საზ.) მაცხ. ეკლესიის გალავანში.

დიდად დამწუხრებული შვილები: შალვა, ბესარიონ, ონისიფორე, [illegible], ანასტასია და რძალი თამარი აროშიძეები, სიძე [illegible] აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი დედის და ბებიის, დიდის

ნატალია მგალობლიშვილის ასულის აროშიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა გამოთხოვების დღე დანიშნულია ამა მაისის 22 ს (ახ. სტ.) დილით ხუთშაბათს ს. ქვიანში (გურია) მაცხ. ეკლესიაში.

გამოვიდა გასაყიდად
დ. თურდოსპირელის
„გაფუჭებული ზღაპარი“
ფასი 5 მან, (5—1)

სასურსათო ორგანიზაციები

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები დღეს ყურადღებას აქცევენ ხალხის გამოკვების საქმეს. განსაკუთრებით მუშათა კლასი და მოხელეები განიცდიან საშინელ გაჭირვებას და სანამ ამ მხრით არ მოეგვარება საქმე, შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების ზრდაზე ლაპარაკი. უამისოდ კი ვერც ფულის კურსი აიწევს.

იქნება ერთგვარი მოჯადოებული წრე, რომლის ბრჭყალებში ხელი ებმის ყოველგვარ თაოსნობას ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიმართულს.

სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი. რაა საჭირო, რომ მოსალოდნელ საშინელ კატასტროფას თავი დავაღწიოთ?

ეს საკითხი დღეს პრესის მსჯელობის საგნადაც გახდა და ყველაზე რადიკალური და გარკვეული გზა ფედერალისტების პარტიულ ორგანოს „სახალხო საქმეს“ აურჩევია. მას არ აკმაყოფილებს ის ნახევარი ზომები, რომელსაც თფილისის ქალაქის თავი მიმართავს დაწესებული ნიხრის ასრულების მოთხოვნით. გაზეთის აზრით საჭიროა გაწმენდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საფეხურები, რომელნიც დამშეულ ხალხს საზრდოს შეძენას [illegible].

ეჭვი არ არის, ნაჩვენები ზომა მართლა რადიკალურია, რომ... მისი სისრულეში მოყვანა იყოს შესაძლებელი. საქმე ის კი არ არის, რომ დაიწყოს და თვალთმაქცობის გზაზე დაიხლართოს, საქმე ამ გეგმის ასრულებაშია და ამ მხრით ჩვენ იმედს ვერ დავამყარებთ როგორც სპეკულიანტების წინააღმდეგ ნიხრის სისტემით ბრძოლაზე, ისე სახელმწიფოებრივ სავაჭროებზე. ყოველი ზომა კარგია განსაზღვრულ პირობებში. ქალაქი ვალდებულია გაჰყიდოს ნიხრით ვაჭრობა, მაგრამ ეს ზომა ვერ უშველის დარჩენ მოქალაქეს მშიერ კუჭს. საზოგადოებრივი ფურნები კარგია, მაგრამ დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი ორგანიზაცია, რომ ეს შესძლოს. ამ მხრით ჩვენ ორი წლის მდიდარი პრაქტიკა გვაქვს. რა გააკეთა სასურსათო კომიტეტებმა, რომლის შენახვაზე ხაზინას რამდენიმე ათი მილიონი დაეხარჯა? არაფერი. რა გააკეთა სასურსათო სამინისტრომ, რომელიც დიდძალ შტატს ინახავდა ხაზინის ხარჯზე? არაფერი.

ფედერალისტებს არ მოსწონთ ნახევარი ზომები. მაშასადამე, საჭირო ყოფილა დღევანდელ სასურსათო საბჭოს ფუნქციების კიდევ უფრო გაფართოება. ამ ფუნქციებს ის მოლოდინებიც, რომელნიც საბჭოში მუშაობენ.

ჩვენ არ შევეხებით იმ თეორეტიულ დებულებებს, რომელსაც საბჭო ემყარება. ამაზე სხვა დროს მოვილაპარაკებთ. დღესდღეობით ჩვენ გვაინტერესებს საქმე, გვაინტერესებს ის ნაყოფი, რომელიც საბჭოს მუშაობამ გამოიღო.

რა გააკეთა საბჭომ თვეონახევრის განმავლობაში?

თფილისი დამშეულია. პური და ხორცი [illegible] ფასით მოიპოვება, მაგრამ ისეთი დიდი ფასებით დაწესებული, რომ დემოკრატიას მისი შეძენა არ შეუძლია. საშინელი მდგომარეობაა ქალაქ დუშეთში და თელავის მაზრაში. სასურსათო საბჭო ამ დროს იძულებულია [illegible] ხარჯავს იმ ნებართვების წერაზე, რომელსაც ამა თუ იმ კერძო პირს აძლევს რამდენიმე ფუთი ფქვილის გამოსატანად.

ჩვენ თავს ვიკავებთ საბჭოსადმი საყვედურისაგან, რადგან ვიცით, რომ ყველაფერი თავისი ღონით მიმდინარეობს და არ გვიკვირს, რომ საბჭო ნებართვების წერას უნდება. ეს დიდ უკმაყოფილებას ბადებს. დუშეთს ნებას არ აძლევენ, რომ თავისუფლად შეიძინოს სურსათი, ავიწროვებენ თფილისს, ფოთს. ამავე დროს ვერ აჩენენ [illegible] იმდენი, რომ იმნაირ მაინც დააკმაყოფილონ არსებული მოთხოვნილება.

მკითხველი ზემოთ ნათქვამიდან ისეთს დასკვნას მოგვაწერს: ვითომ ჩვენ ვითხოვდეთ სპეკულიაციის ამეფებას და ყოველგვარ ორგანიზაციის მოსპობას. არა. ჩვენ ამას არ მოვითხოვთ. პირიქით, ჩვენ ვითხოვთ მეტი თაოსნობის გამოჩენას, ჩვენ ვითხოვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციის გაძლიერებას. მაგრამ ეს უნდა იყოს თავისუფალი ორგანიზაცია. ქალაქებს და ერობებს ნება უნდა ჰქონდეთ იყიდონ იქ და იმდენი, სადაც და რამდენსაც იშოვიან. და ამ მიზნის უკეთ განსახორციელებლად უნდა შეიქმნან კავშირი, რომელიც მიზანშეწონილობის პრინციპზე იქნება აგებული. ასე გვესმის ჩვენ სასურსათო ორგანიზაციის მოწყობის საქმე და სანამ [illegible] სასურსათო საბჭოს არ გამოუქვეყნებია თავისი მოქმედების ანგარიში, [illegible] არ გვაქვს ეს შეხედულებები შევიცვალოთ.

საქმე კი იმდენათ სერიოზულია, რომ მეტი არ იქნებოდა ასეთი ანგარიშის გამოქვეყნება.

პრესა

„აშხატავორი“ (№ 100) ეხება ახალციხეში მომხდარ ამბებს და, სხვათა შორის, სწერს:

„საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა თუ არა ქვეყნის დამოუკიდებლობა, იმისთანა იმპერიალისტური მისწრაფებანი გამოიჩინა, რომ მასთან შედარებით ევროპიული ყველაზე სასტიკი იმპერიალიზმი არაფერი არ არის. ყოველგვარ საშუალებებს მიმართა, დაიპყრო სხვისი ოლქები, მოახდინა რევოლიუციები [illegible] კანონების წინააღმდეგ, წაართვა და გაძარცვა რაც შეიძლება. ესევე მოქმედებენ მთავრობის მოხელეებიც თავიანთი საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

რაში გამოიხატა საქართველოს მთავრობის იმპერიალიზმი?

ახალციხის შემოერთებაში? მაშ, რომელი სხვა ოლქები დაიპყრეს ქართველებმა, რომელი უცხო ტომი დაიჩაგრეს და თავის იმპერიალიზმს დაუმორჩილეს?

განა ეს საზიზღარი ცილისწამება არ არის?

დაშნაკელებს, ალბათ, ის უნდათ, რომ საქართველოში ყველა ქართველებმა არ მოიყარონ თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ახალციხის შემოერთებას იმპერიალიზმს არ დაარქმევდა.

ხოლო რევოლიუციებზე მითითება, როგორც იმპერიალიზმის მაგალითზე, მოწმობს მხოლოდ იმას, რომ გაზეთს საბუთი არაფერი აქვს და ლობე ყორეს ედება. განა რევოლიუციის [illegible] მოხმარა,—ეს იმპერიალიზმია?!

და ამის შემდეგ გაზეთი მაინც არ წყნარდება, როცა ბოლოში იმავე წერილში ასე ამბობს:

„ყოველთვის, როცა ესწრობ საქართველოს წესებზე, მაშინვე ქართული შოვინისტური პრესა დაიწყებს ყვირილს, თითქოს ჩვენ წინააღმდეგნი ვართ საქართველოს დამოუკიდებლობისა, თითქოს დენიკინის და რუსი ბოლშევიკების აგენტები ვართ.

„მაგრამ სახელმწიფოებრივი წესრიგი ყვირილით არ შეიქმნება და ყვირილით ხალხის სიმპატიას ვერ დაიმსახურებენ. ამისთვის საჭიროა ხალხის ინტერესებისთვის ზრუნვა.

„სანამ [illegible] მთავრობის ამისთანა [illegible] კლიკას, არ შეიძლება სიმპატიით ცქერა. საჭიროა სწორედ გამოძიების მოხდენა და დამნაშავეთა დასჯა. დამოუკიდებლობა უნდა დაცულ იქნეს არა მარტო ძალით, არამედ—კანონით“.

ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვა დაშნაკელებისთვის არც მიგვინდვია, არც მივანდობთ. მათგან არც [illegible]. მათი გულისნადები ჩვენ ვიცით, მაგრამ ერთს მაინც მოვითხოვთ მათგან: ცილისწამებაზე ხელი აიღონ, თუნდ კონფერენციის მუშაობის ხანში მაინც, იქონიონ იმდენი სინდისი, რამდენიც [illegible] მოღვაწეებისთვის [illegible].

სომხური ინფორმაცია და ბ-ნი ს. მაზმანოვი

ბ-ნ ს. მაზმანოვს არ მოსწონს სომხური ინფორმაცია.

არ იციან სომხების მეგობრებმა ევროპაში რას ფიქრობენ მათ შესახებ სომხები. არც სომხებმა იციან, თუ რას ფიქრობენ მათი მეგობრები.

ს. მაზმანოვის აზრით, ეს ბრალდება უსაფუძვლოა, მაგრამ ის კაპიტალი, რომელიც ამ საქმეზე იხარჯება, უნაყოფოდ იკარგება და მცირედ სარგებლობის ნაცვლად ზარალსაც მოაქვს.

ამის მაგალითს იძლევა შემდეგი: „არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს,—სწერს ს. მაზმანოვი,—რომ თფილისში რუსულ ენაზე გამოცემული [illegible] ჟურნალი „ორიონი“ სომხური კაპიტალის პირმშოა“.

ამ ჟურნალში დაბეჭდილია ბ-ნ ს. მაზმანოვის ისეთი ადგილები, რომლებიც [illegible] მოკავშირე სახელმწიფოების—ინგლისის, საფრანგეთის და სხვათა წინააღმდეგ.

სომხური კაპიტალით გამოცემული ორგანო, ს. მაზმანოვის აზრით, არ უნდა სწერდეს სომხის ხალხის მეგობრების წინააღმდეგ. ის საკითხს ასე აყენებს: „რუსეთის განაპირა კუთხეში, სომხეთის საზღვარზე, სომხური ფულით გამოცემულ ჟურნალს რა აქვს საერთო ევროპის პოლიტიკასთან მოკავშირე სახელმწიფოების მოქმედებათა კრიტიკით, როცა ისევე მოკავშირეები უანგაროთ ხელს უწყობენ და დიდ დახმარებას უწევენ ჩვენ სომხებს?“

ჩვენ [illegible], რომ ბ-ნ ს. მაზმანოვის წერილი ამ საგანზე მოთავსებულია თფილისში არსებულ დენიკინის შპიკების „ტიფლისკაია გაზეტაში“.

უნდა აღინიშნოს ს. მაზმანოვის საყურადღებოთ, რომ „რუსეთის განაპირა კუთხე“, სადაც მის მიერ განქიქებული ჟურნალი გამოდის (თფილისი), საქართველოში მდებარეობს.

მაგრამ დავანებოთ თავი ამ „წვრილმანებს“—დიდ ილაპარაკე მაზმანოვებმა თფილისში „სომხეთის საზღვარზე“, „რუსეთის განაპირაზე“ ისე, რომ საქართველოს ნურც ახსენებენ, ვინაიდან შპიკების გაზეთს ასეთი რიგიანობა არც მოეწონებოდა...

ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: სომხური ინფორმაციის საქმე არ დაუბრკოლებია უსახსრობას,—პირიქით, [illegible] ოქრო დაიხარჯა რუსეთში, ინგლის საფრანგეთ-ამერიკაში და სხვა ქვეყნებში, რომ სომხის საზოგადოების ერთ ნაწილს, სახელდობრ,—დაშნაკცუტიუნს, სახელი გაეტანა, დაემცირებინა სხვების თვალში საქართველო.

ბ-ნ ს. მაზმანოვს ეს კარგად მოეხსენება და თუ ამის შესახებ არაფერს ამბობს, ალბათ, ეთანხმება დაშნაკცუტიუნს.

ბ-ნ ს. მაზმანოვს, ალბათ, მოეხსენება, მაგრამ ჩვენ მაინც მოვაგონებთ მას, რომ სომხური კაპიტალით გამოცემულ ისეთ ორგანოებში, როგორიცაა, „ორიონი“, „ტიფლისკაია გაზეტა“, „კავკაზსკოე სლოვო“ და სხ. ყოველ სტრიქონს თავისი მნიშვნელობა აქვს—ის უპირველესად ყოვლისა ემსახურება დაშნაკცუტიუნს, შემდეგ გამომცემელს და სხ...

დაუშრეტელი მასალა კი ასეთი წერილებისთვის არის [illegible], დაბეჩავებული სომხის ხალხი, რომლის სახელითაც კარგად თამაშობენ ხელს, სთესენ [illegible] სომხის ხალხისა და მის მეზობლებს შორის პროვოკაციური, კამერცული თუ ბანკის შანტაჟ სტებდა...

დამფუძნებელი კრება

20 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

[illegible] მოხსენებით მიღებულ იქნა საბიუჯეტო რედაქციით შემდეგი კანონები და დეკრეტები: 1) დეკრეტი საქართველოს პარლამენტის 1919 წ. იანვრის 31 კანონის (სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად კრედიტის გახსნის) გაგრძელების შესახებ, 2) დადგენილება რკინის გზის სადგურებში საქონლის შესანახ ვადის შემცირებისა, 3) დეკრეტი [illegible] მოხელეთათვის პრემიების მისაცემად 100,000 მანეთისა, 4) კანონი ოჯახური მდგომარეობით ჯარიდან გაწვევისაგან განთავისუფლების შესახებ, 5) დეკრეტი სახელმწიფო საშუალო და უმაღლეს დაწესებათ სკოლებისათვის სუბსიდიის მისაცემად 250000 მან. გადადების შესახებ, 6) დეკრეტი სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ, 7) დეკრეტი 600,000 მან. გადადების შესახებ ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადასაკეთებლად რესპუბლიკის სამინისტროების მოსათავსებლად.

რ. არსენიძის მოხსენებით ხდება მეორედ განხილვა კანონ-პროექტის მოქალაქეობის შესახებ.

კამათს იწვევს პირველი მუხლი, რომელშიაც ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეთ ითვლება ყველა ის, ვინც მიწერილი იყო რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულზე 19 ივლისამდე 1914 წ.

ლ. შენგელაია წინააღმდეგია ამ მუხლის და იცავს სოც. რევ. მიერ წარმოდგენილ წინადადებას, რომლის შინაარსი ასეთია: საქართველოს მოქალაქეთ გამოცხადებულ უნდა იქნან ყველა ისინი, ვინც ამ კანონის გამოქვეყნებამდე ცხოვრობდნენ საქართველოში თუ კი ისინი უარს არ განაცხადებენ მოქალაქეობაზე სამი თვის განმავლობაში.

გრ. გიორგაძე აღნიშნავს, რომ 1914 წ. 19 ივლისის დატას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ამ რიცხვიდან მოხდა ხალხთა დიდი გადაჯგუფება გადმოჯგუფება და სხ., სწორედ ამიტომ არის წარმოდგენილ პროექტში აღნიშნული ეს დატა. ორატორი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ვალდებულია თავის მოქალაქეებზე იზრუნოს, მათი ინტერესები დაიცვას. სახელმწიფო ვალდებულია თავის მოქალაქეების ინტერესები დაიცვას ყველგან, სადაც არ უნდა წავიდნენ ისინი. შემთხვევით ჩამოსული ხალხი თუ გამოვაცხადეთ ჩვენი მოქალაქეებად, შეიძლება ერთ დღეს ისინი დაიძრან და უცხოეთში წავიდნენ. როგორ შეუძლია სახელმწიფოს ასეთ პირობებში მათი დაცვა. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი პრინციპები მოითხოვენ პირველი მუხლის უცვლელად მიღებას.

ი. ბარათაშვილი (ს. ფ.) ილაშქრებს სოც. რევოლიუციონერების წინააღმდეგ და ამბობს, რომ სოც. რევოლიუციონერები დღიდან რევოლიუციის დაწყებისა ეპოტინებოდნენ ისეთ ელემენტებს, რომელნიც ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ. დღესაც მათ სურთ შემოიყვანონ ჩვენს სახელმწიფოში ისეთი ელემენტები, რომელნიც ძირს გამოუთხრიან ჩვენს დამოუკიდებლობას. ამიტომ უარყოფილ უნდა იქნას სოც.-რევ. წინადადება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ყოველ სახელმწიფოში მოქალაქეობის გარკვევა ხდება ორი პრინციპით: ობიექტიური და სუბიექტიური. წარმოდგენილ მოქალაქეობის პროექტში უპირატესობა ეძლევა ობიექტიურ ნიშანს, ამიტომაც არის აღნიშნული იქ 19 ივლისის 1914 წ. დატა. ს. რევოლიუციონერები უპირატესობას აძლევენ სუბიექტიურ პრინციპს. ობიექტიური ნიშანი სრულებით დაფარულია სუბიექტიურით. ამ პრინციპით სახელმწიფოს აშენება შეუძლებელია. ს. რევ. წინადადების მიხედვით საქართველოს მოქალაქეთ უნდა გამოცხადდნენ ყველა ისინი, ვინც საქართველოში ცხოვრობდა ამ კანონის გამოქვეყნებამდე. ე. ი. საქართველოს მოქალაქეთ

დღეს

გერმანიას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია საზავო ხელშეკრულების უცვლელ მუხლების განხილვა.

ავსტრიის საზავო დელეგაცია პარიზს მივიდა.

ფიუმეს შესახებ მოლაპარაკება საზავო კონფერენციაზე გრძელდება. ორივე მხარე ენერგიულ მოთხოვნებს აყენებს.

ინგლისური პრესის ცნობით ლუგანოში მყოფი გერმანელი პრინცები გერმანიის სახელმწიფოებრივი გადატრიალების მზადებაში არიან.

პოლონეთის სეიმი აცხადებს, რომ პოლონეთის რესპუბლიკა არ აპირებს ლიტვის ტერიტორიის შეერთებას.

ესტონიის ფრონტზე რუსის მოხალისეთა კორპუსებმა შეტევა დაიწყეს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ.

ბუენოს აირესიდან გერმანელი ანარქისტები სამშობლოში გაგზავნეს.

უნდა გამოვაცხადოთ მთელი ის ფრონტი, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ იმყოფებოდა. და რადგანაც მათ უკვე დატოვეს საქართველოს საზღვრები და სამი თვის განმავლობაში არ შეუძლიათ მოქალაქეობაზე უარის განცხადება, ისინი უნდა დარჩენ საქართველოს მოქალაქეებათ.

მე რა ნაყოფი მოაქვს სუბიექტიური პრინციპით ხელმძღვანელობას. ჩვენ, როგორც ზევით ვსთქვით, ადგილი გვაქვს ობიექტიური ნიშანი, ამ ნიშნის მიხედვით საჭიროა ის, ვისაც უნდა საქართველოს მოქალაქეობა, ერთნაირად მიღებული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე.

პირველი მუხლი არის კონკრეტიული, სრულიად გარკვეული, ის იცავს დემოკრატიის და მუშათა კლასის ინტერესებს და ამიტომ მიღებულ უნდა იქნას. ს.-რევოლიუციონერების მიერ წარმოდგენილი წინადადება სახელმწიფოს არღვევს, რაც მავნებელია დემოკრატიისათვის, ამიტომ მათი წინადადება უარყოფილ უნდა იქნას.

კრებამ სოც.-რევ. წინადადება უარყო. დანარჩენ მუხლებს ცხარე კამათი არ გამოუწვევია. კანონ-პროექტი მცირე შესწორებებით მიღებულ იქნა.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ პავლენიძის მოხსენებით მიღებულ იქნა კანონპროექტი რკინის გზაზე მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ.

გ. ანჯაფარიძის მოხსენებით მოხდა პირველი ზოგადი განხილვა კანონპროექტისა ეპიდემიასთან ბრძოლაში დაღუპულ და შრომის უნარ-დაკარგულ მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების შესახებ. **აკ. ხ.**

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

21 მაისი

ფრანგული პრესის ცნობები.

ბროკდორფ რანცაუ სპაში წავიდა ებერტისა და შეიდემანისაგან უკანასკნელი ინსტრუქციების მისაღებად. ოთხშაბათს ის უკან დაბრუნდება და კლემანსოს ახალ ნოტას საარის ოლქის და იქაური მადაროების გერმანელების მიერ დამუშავების შესახებ წარუდგენს.

იტალიური პრესის ცნობები.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს საკითხი ბულგარეთის საზღვრების შესახებ დობრუჯასა და დალმაციაში. მიიღეს წინადადება, რომ შეთანხმების დასაჩქარებლად რუმინიამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ბულგარეთთან.

„მატენ“-ი სწერს, რომ ეკონომიურმა კომისიამ გუშინ განიხილა ავსტრიის ტერიტორიაზე საბაჟო კავშირის საკითხი, რომელიც მისი საძნელის გამო ოთხთა საბჭოს გადაეცა.

ფრანკფურტის გაზეთები ირწმუნებიან: ის გარემოება, რომ ბროკდორფ რანცაუ ბერლინში მიდის, საზავო მოლაპარაკების შეწყვეტას არ ნიშნავს. ბროკდორფმა, როგორც გერმანიის დელეგაციის უფროსმა, მთავრობასთან უნდა ითათბიროს.

ფიუმესა და დალმაციის იტალიასთან შეერთების სასარგებლოდ მილანის თეატრში გაიმართა მანიფესტაცია, რომელსაც მთავრობის ყველა წარმომადგენელი დაესწრო. სემბენელმა მამულიშვილური სიტყვა წარმოსთქვა. ორატორს ტაშის ცემით აწყვეტინებდნენ სიტყვას. შემდეგ დიდი პროცესია მუსიკით და მრავალი დროშით ტაძრის მოედანისკენ გაემართა.

რომი. იუწყებიან, რომ შესდგა საზავო კონფერენციის საერთო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის და ავსტრიის დელეგაციები; განიხილეს ავსტრიაში სურსათის გზავნის საკითხი.

ინგლისური პრესის ცნობები.

ორლანდოს ავადმყოფობის გამო ორშაბათს ოთხთა საბჭოს სხდომას ვერ დაესწრო, მაგრამ იტალიის მდგომარეობა არ შეცვლილა. იტალიელებმა თანხმობა განაცხადეს ფიუმეს თავის ქალაქად გამოცხადებაზე, რის გამოც საკითხი ღია დარჩა. ისტრია და კუნძულები, რომელთა მოპოვებას იტალია ცდილობს, იწვევს ვერცხლის წყლიან ადგილების საკითხს, რადგან, თუ იტალიას ისტრია და კუნძულები გადაეცა, მაშინ იტალია მიიღებს ვერცხლის წყლის მონოპოლიას. არის მხოლოდ 3 ვერცხლის წყლიანი ადგილი: 2 იტალიაში და მე-3 ისტრიაში.

„პტი-ჟურნალი“ იუწყება: ზოგიერთი წრეები იმ აზრის არიან, რომ ბროკდორფ რანცაუ ხელშეკრულების მოწერაზე უარს განაცხადებს. თუმცა კი მისი დაბრუნება ამას შიშს აქარწყლებს. გერმ. მხრით ხელშეკრულებას ხელს მოაწერს გერმანიის იმპერიის 2 ახალი მრჩეველი, რომელთაც ვერსალში ამ კვირაში მოელიან. ამბობენ, რომ ბროკდორფმა გადაჭრით უარი განაცხადა ხელშეკრულების ზოგიერთ პირობის მიღებაზე. ამის გამო ებერტი და შეიდემანი 2 ახალ რწმუნებულს გაგზავნიან ინსტრუქციებით.

„სეკოლო ლუგანო“ იუწყება, რომ ლუგანოში მცხოვრები 2 გერმანელი პრინცი, ერთი მათგანი უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელია, რესტავრაციის მიზნით გერმანიაში გადატრიალების მოხდენას აპირებენ. საზავო ხელშეკრულების მოწერის დღიდან 2 თვის შემდეგ აპირებენ კაიზერს ტახტი დაუბრუნონ.

გაზეთები ირწმუნებიან, რომ ფიუმეში ეროვნულმა საბჭომ თავისი გადაწყვეტილება მიიღო ქალაქის ბედის შესახებ და პარიზში საზავო კონფერენციას გაუგზავნა განსახილველად. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ პლებისციტი მიუთითებს როგორც ქალაქის, ისე მისი მიდამოების იტალიასთან შეერთებას და საზავო კონფერენციას არ შეუძლია ეს გადაწყვეტილება შესცვალოს და ხალხი ყოველივე ძალღონეს ამ საკითხში წინააღმდეგობას გაუწევს.

ჰოლანდიის დელეგაცია, რომელიც 1839 წლის ხელშეკრულობის გადასინჯვის მიზნით საზავო კონფერენციაზე მიიწვიეს, უკვე მივიდა პარიზში. დელეგაციას მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი ვან-კარნებეკი. დაუყოვნებლივ შესდგა ოთხთა საბჭოს თათბირი საგარეო საქმეთა მინისტრების და ბელგიის მინისტრის ხიმანსის მონაწილეობით. ამ ხელშეკრულების გადასინჯვა ბელგიის დელეგაციის მოთხოვნილებით საზავო ხელშეკრულების პირობებშია შეტანილი.

დღეს, შუადღისას სენ-ჟერმენში რწმუნებულების ქაღალდები გასცვალეს ავსტრიის და მოკავშირეთა წარმომადგენლებმა. მოკავშირეთა კომისიის წარმომადგენლად უპიდი იყო, ინგლისის—ხარდინგი, იტალიის—კრისტი და იაპონიის—მეტსუი. ავსტრიის დელეგაციის უფროსს რენნერს თან მოჰყვნენ: კლეინი, ეისხოფი, შპლეტი და შეფერი.

ამერიკული პრესის ცნობები

გაზეთების ცნობით, „საზავო ხელშეკრულების მთელი მასალა 5 ჯგუფადაა დაყოფილი და 5 კომისია იმუშავებს. კომისიების-დასკვნა თითქმის დამთავრებულია და ნაწილი უკვე წარედგინა მთავრობას განსახილველად. ამას გარდა საზავო კონფერენციას გადაეცემა ახალი ნოტები ელმასავლეთის საკითხის, ელზას-ლორენის, გერმანიის საკოლონიო ვალდებულებათა რაოდენობისა და საზღვარგარეთ მყოფ გერმანელთა კერძო საკუთრების შესახებ და აგრეთვე პასუხი კლემანსოს განმარტებაზე შრომის საერთაშორისო კანონმდებლობის შესახებ.

ცნობილი პაციფისტი გრაფი მონტგელასი „ბერლინერ ტაგებლატ“-ში სწერს: დემოკრატიულ კაცობრიობის და საერთაშორისო სოციალიზმის წარმომადგენლნი ერთხმად ჰკიცხავენ ვერსალის ზავს, როგორც ეროვნულ სიძულვილის შედეგს. ისინი ამბობენ, რომ ვერსალის პროექტი უარყოფს უფლების ყოველ კანონს, არცხვენს ხალხს, პირუტყვს ადარებს და ამბობენ, რომ მას ახალი ომები და ახალი შეიარაღება მოჰყვება.

ორშაბათს გერმანიის დელეგაციას გადასცეს პოლონელთა რწმუნებულებანი, რომლებიც კანონიერად სცნეს.

ვერსალიდან იუწყებიან, რომ ჯერ ისევ ადრიანდელია ხელშეკრულების პროექტის, ან მისის ნაწყვეტების გამოქვეყნება. ვილსონი, ორლანდო და ბალფური აპირებდნენ გამოქვეყნებას, მაგრამ ლოიდ ჯორჯმა დაარწმუნა, რომ ეს მავნებელი იქნებოდა. დეპუტატმა დუტრილემ წინადადება მისცა საფრანგეთის პალატას დეპუტატებს დაურიგონ გერმანული გაზეთები; ეს ერთად ერთი საშუალებაა დეპუტატებმა წარმოდგენა ჰქონდეთ იმ ტექსტის შესახებ, რომელსაც ხმა უნდა მისცენ.

სპადან იუწყებიან, რომ კვირას ლერხენბურგის ხელმძღვანელობით მოხდა ფინანსიური და კომერციული ხასიათის თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ბროკდორფ-რანცაუ, მინისტრი ვისსელი და პრუსიის ფინანსთა მინისტრი ზიუდეკუმი.

ესტონიის ფრონტზე რუსის მოხალისეთა კორპუსებმა შეტევა დაიწყეს. ფინის ყურეში მოკავშირეთა და ბალშევიკების სამხედრო ძალებს ბრძოლა მოუხდათ. ამავე დროს რუსების ბატარეა ყუმბარებს უშენდა „წითელ მთას“ ფინეთის მხარეზე და მის ახლო მახლო მდებარე სანაპირო ბატარეას. იზრდება შიში, რომ ფინეთს მის დაუკითხავად პეტერბურგის წინააღმდეგ ბრძოლაში ითრევენ.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. მაისის 20. პარიზი. მაისის 19. ვარშავიდან იუწყებიან, რომ პადარევსკის თხოვნა თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ გამოიწვია იმ ოპოზიციამ, რომელიც შეიქნა მის წინააღმდეგ პარიზში მის მიერ თავის თავზე მიღებულ ვალდებულებათა გამო, რაც დაკავშირებული იყო უკრაინელების წინააღმდეგ შეტევის შეწყვეტასთან. პოლონეთის საზოგადოება იმ აზრისაა, რომ პოლონეთის ფრონტი რუმინიის და აღმოსავლეთ გალიციის ფრონტთან იმისთვის გაეერთიანებს, რომ ზურგი უზრუნველყოფილი იყოს გალიციასა და აღმოსავლეთ პრუსიაში თავმოყრილ გერმანიის ჯარების თავდასხმისაგან. აღმოსავლეთ გალიციის ტერიტორიაზე უკრაინელთა ახალი შეტევა მთავრობას აიძულებდა სამხედრო წინააღმდეგობა გაეწია მათთვის. პადარევსკის გადადგომა სეიმმა არ მიიღო. პარიზი, მაისის 19. ვარშავის სეიმმა ლიტვასთან დამოკიდებულების შესახებ მიიღო სოციალისტს დაშინსკის შემდეგი წინადადება: „სეიმი აცხადებს, რომ პოლონეთის რესპუბლიკა არ აპირებს ლიტვის ტერიტორიის შეერთებას. რესპუბლიკა სცდილობს ლიტვის ტერიტორია უცხოელთა ბატონობისაგან გაანთავისუფლოს და მცხოვრებლებს საშუალება მისცეს თავისი ნება და ფიქრი პოლონეთის სამეფოსადმი თავისუფლად გამოსთქვას. პოლონეთის რესპუბლიკას სურს ლიტვის ყოფილ სამთავროსთან ჰქონდეს კავშირი, რომელიც პოლიტიკურ და კულტურულ საერთო ინტერესების საფუძველზე იქნება აგებული. ბუენოს-აირესიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივმა მთავრობამ 800 გერმანელი ანარქისტი ავანტიურისტად გაგზავნა გემით სამშობლოში. ლონდონი, მაის. 18. ლოიდ ჯორჯი გერმანიაში გაემგზავრა. მას სურს დარწმუნდეს გერმანიის მდგომარეობაში და მოელაპარაკოს მარშალ ფოშს. ორენბურგის და მის ახლო მდებარე რკინის გზის ხაზების დიდი ტერიტორიისაგან დაცლა დასრულდა. პური სრულიად გამოიზიდა. დაიწყეს ცერის, ხორცის, ხორბლის, ტყავის და მარილის გამოტანა. სამარაში რკინის გზის ჰოსპიტალი მოეწყო. ჩერემხოვო. 19 მაისი. პეტლიურას არმია გაიფანტა. პეტლიურას პოლკებში 80 კაცია, დანარჩენი ზოგი გაიქცა, ზოგიც საბჭოთა ჯარის მხარეზე გადავიდა. მიკროეცკა. 18 მაისი. კოლჩაკის ჯარში დეზორგანიზაცია იზრდება. უკანასკნელი ექვსი დღის განმავლობაში ჩვენს მხარეზე 11,000 კაცი გადმოვიდა. გადმოგვცემენ, რომ ძალით ჯარში გაწვეულ სოფლის მცხოვრებთ მკაცრად ექცევიან, მუშებს ახობით ხვრეტენ. კოლჩაკის წინააღმდეგ სიძულვილი იზრდება.

ნაუენი, მაის. 19. პოლონეთში პოლიტიკურ მდგომარეობის გამწვავების მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ პოლონეთის სახელმწიფო ვალი ამ მოკლე ხანში საშინლად გაიზარდა. საზოგადო ეკონომიური მდგომარეობა ძალიან ცუდია. მუშათა შორის აგიტაცია იზრდება. ბოლშევიკური იდეა ძლიერ ვრცელდება, ჯარში დისციპლინა ირღვევა. **პარიზი,** მაის. 19. იტალიელური საუბარი ფიუმეს საკითხზე გრძელდება. „პტი-ჟურნალ“-ის ცნობით, ორივე მხარე ფიუმეზე ენერგიულ მოთხოვნილებებს აყენებს.

ახალი ამბები

სამიწათ-მოქმედო სამინისტროს კასირს ბორისოვს მოსამსახურეთა ჯამაგირის დასარიგებლად ხაზინიდან სამინისტროში მიჰქონდა 175,000 მ. სამინისტროში შესვლის კიბესთან ბორისოვს თავს დაესხნენ სამი ბოროტ გამზრახველები და სიკვდილის შიშით წაართვეს პორთფელი ფულით და გაიქცნენ.

◆ **თავდასხმა მატარებელზე.** 20 მაისს სამტრედიის ზევით, ისნეთის ბაქანთან ათამდე ყაჩაღი თავს დაესხა ბათუმიდან მომავალ მატარებელს. დასჭრეს ერთი მგზავრი აფიცერი, რომელმაც თავის მხრით დასჭრა ერთი ყაჩაღთაგანი. დაიჭრა ერთი მილიციონერიც. სროლამ ხელი შეუშალა ყაჩაღებს გაძარცვათ მატარებელი. წაართვეს მხოლოდ ერთ მგზავრს 900 მანეთი.

◆ **კავკავიდან** თფილისისაკენ მომავალ სამგზავრო ავტომობილს 20 მაისს ანანურსა და ფასანაურს შუა თავს დაესხნენ მძარცველები და აუტეხეს სროლა. ავტომობილი გააჩერეს და მგზავრებს წაართვეს ფული და შემდეგ ნება დართეს წასვლის. დუშეთის მახლობლათ ეს ავტომობილი დაეჯახა გზაზე მეორე ჯგუფ მძარცველების მიერ გაბმულ მავთულს. ავტომობილს დაუზიანდა წინა ნაწილი და ძლიერ დასახიჩრდა ერთი მგზავრთაგანი.

◆ **აზერბეიჯანის სავაჭრო სამრეწველო** სამინისტროსთან არსებულ კომიტეტმა საქონლის გაცვლა-გამოცვლისა ნება დართო ბაქოს კავშირს „კოოპერაციას“ გაზიდოს ბაქოდან საქართველოში ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის სახელზე 8 ვაგ. ნავთის სუროგატები, 500 ფუთი ქიშმიში, 750 ფ. მაკარონი, 1 ვაგონი იაჩნის და პერლოვის კრუპა, 1 ვაგ. ბენზინი, 1 ვაგ. ბრინჯი, 8 ვაგონი თევზი (ვობლა), 500 ფ. მაზი თვლებისათვის, 1 ვაგონი „ფუზელი“ და 2 ვაგ. შაბი გასატანი ბაჟების გადახდით.

◆ **სავანგებო რაზმმა შეიპყრო ჯა**ვად მამადი მუჰენ კული ოღლი, როგორც დამნაშავე საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან სასროლ იარაღის გაზიდვისა.

ამავე რაზმმა შეიპყრო ყალბი ბონების დამზადებაში შენიშნულნი დავით დანელია, თ. კუჭავა და ს. იხილჩიკი.

◆ **წ. კ. საზოგადოების ტრადიციუ**ლი საღამო გაიმართება 25 ივნისს. საღამოს მოწყობა მიენდო ნ. ნაკაშიძეს.

◆ **ვაჭრობა მრეწველობის „სამინი**სტროს ამ დღეებში ეწვივნენ იტალიის დიპლომატიური მისიის წევრები, რომლებიც გაეცნენ საქართველოს სატყეო, სამთამადნო და სამრეწველო მდგომარეობას. მათ განმარტებას აძლევდა საქართველოს დეპარტამენტის დირექტორი აბზიანი.

◆ **სახალხო გვარდიის შტაბის** უფროსი ვალიკო ჯუღელი დეპეშით სთხოვს მთავრობის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრს, რომ აფიცერ დავით წერეთლის მკვლელებს არ ეპატიოთ სასჯელი.

◆ **კაპელა.** ქართ. სამუსიკო საზ-ბა და კოოპერატივთა კავშირი შეთანხმდნენ და აარსებენ ახალ კაპელას (ქალ. ვაჟთა მომღერალთა ანსამბლს), რომელიც სისტემატიურათ იმუშავებს და თვიურ ჯამაგირით უზრუნველყოფილი იქნება ყოველი „კაპელის“ წევრი. მხოლოდ კარგი სმენის-ხმის მქონე და ნოტების მცოდნენი მიიღებიან. ხმის გასინჯვა და დაწვრილებით პირობების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **გარნიზონის უფროსი აცხადებს.** ყოველდღიური გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ წინადადებას ვაძლევთ ყველა ბ. აფიცრებს, ექიმებს და მოხელეებს სამხედრო უწყებისა, რომელნიც ეხლა არ მსახურებენ საქართველოს რესპუბლიკის ჯარში, შეიწყვიტონ პაგონების ტარება, მხოლოდ იმათ, ვინც სამსახურში არიან, თან იქონიონ პირადობის მოწმობა, მიღებული უფროსიდან არა უგვიანეს პირველ მაისის ამა წლისა.

◆ **სიღნაღიდან** კომისარი დეპეშით აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ 16 მაისს გამომგზავრებულ ტუსაღებს დაუპირებიათ გაქცევა, ტუსაღები ამიტომ დაუხოცნიათ.

◆ **მკვლელობა.** 20 მაისს, ღამით ბოროტ გამზრახველებმა ვლადიმირის ქუჩაზე თავის დუქანში მოჰკლეს მიხეილ მეტრეველი.

◆ **ქურდობა.** 19 მაისს, დილის 9 საათზე სუსანა დემურიოვას ბინიდან (შეშუთოვის ქუჩა № 58) მოპარულ იქნა 25 ათას მანეთის ნივთები.

◆ **თამასუქის წესდება.** რედაქციამ მიიღო არ. ახნაზაროვის მიერ თარგმნილი თამასუქის წესდება. წიგნი პოპულარული ენითაა ნათარგმნი, დართული აქვს სათამასუქო თერმინების ქართული მცირე ლექსიკონი, გამოცემულია ლამაზად და ღირს 5 მან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის მეშვიდე განყოფილებაში (საბურთალოს სახალხო თეატრში) დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) ეკ. ტურიაშვილისა „გიგიენა“, 2) სერ. ქურდიანისა „საქართველოს მწერლობის ისტორია“, 3) მ. შალამბერიძე „ქიმია“.

◆ **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში.** დღეს, 22 მაისს, საღამოს 7 საათზე საშუალო ტექნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქ., № 70) ინჟ. ივ. ყიფშიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ცნობები საქართველოს სამთო-მადნო სიმდიდრის შესახებ“.

◆ **დისპუტი.** კვირას, 25 მაისს, 12 საათზე ქართული კლუბის დარბაზში სამეცნიერო-სააგრონომიო წრის მიერ იმართება დიდი საჯარო დისპუტი შემდეგ თემაზე: „რას უნდა მოველოდეთ აგრარულ რეფორმიდან საქართველოში“. მომხსენებლათ გამოდის მ. ნ. მანდილაშვილი—ლიადელი. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: დ. ოლქუნიძე, ს. ტიმოფეევი, თ. ლელაშტი და სხვები. მონაწილეობის მიღება შეუძლია აგრეთვე ყოველ მსურველს. ბილეთების ფასი: 2 მან.—10 მანეთამდე.

◆ **ნაძალადევი.** 19 მაისს, ყუბანის ქუჩაზე, სახ. № 5, ამაშფოთებელი ამბავი მოხდა. დილის ათ საათზე შემოსდო ეზოს კარები მეთერთმეტე უბნის მილიციონერმა ბერძენიშვილმა. ამ დროს შემთხვევით ეზოს ძაღლი იყო აშვებული, რომელიც მილიციონერის შემოსვლისთანავე მისკენ გაექანა. იქვე იდგა ძაღლის პატრონი, რომელმაც იმავე წუთში ძაღლს ხელი წაავლო, მეორე ქალი კი კარებთან მივიდა და უთხრა მილიციონერს: ძაღლს დავაბამთ და მერე შემოდითო. მაგრამ მილიციონერმა უსიტყვოთ იძრო „ნაგანის“ რევოლვერი და ესროლა ძაღლს. ხმის გაგონებაზე ქალი შეშინდა, მეორემ კი ოთახში შეაგდო ძაღლი და სთხოვა მილიციონერს მეტი არ ესროლა და არ მოეკლა ძაღლი, მაგრამ მილიციონერმა არ შეიწყნარა თხოვნა და კიდევ გაუშვა დამწყვდეულ ძაღლისაკენ სასროლეთ. ამ დროს ქალმა ხელი წაავლო მილიციონერს მაჯაზე ხვეწნით—ძაღლი არ მოიკლაო, მაგრამ მილიციონერმა ორჯერ კიდევ ესროლა, რის შედეგადაც ქალი თითში დაიჭრა, ძაღლი კი უვნებლათ დარჩა. საჭიროა მილიციონერის ასეთ უმსგავსო მოქმედებას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

კრებანი.

დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, 22 მაისს, საღ. 6 საათზე, შესდგება მესამე რაიონის ახალი კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია მე-4 რაიონის კოლექტივის სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე დანიშნულია ს. ს.-დ. მ. პ. მე-6 რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა.

მთავრობაში

15 მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

სასურსათო საბჭომ უნდა აწარმოვოს უმთავრესად სასურსათო ოპერაცია და ამას მოახმაროს თავისი საშუალებანი.

შესაძლებლად იქნას ცნობილი სხვა საქონლის ოპერაცია, თუ მას მიზნათ

ექნება პურის შემოტანა და გაადვილებს სასურსათო ოპერაციას.

სასურსათო საბჭოს განკარგულებაში მყოფი [illegible] გადაცვლილ იქნას პურზე, სადაც ეს შესაძლებელია.

სასურსათო ოპერაციების საწარმოებლად დაუხურდავდეს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს ერთი მილიონი მანეთის ჩეკები.

გადაიდოს სამხედრო ფონდიდან ასი ათასი (100,000) მან. სამხედრო სამინისტროს სადმინისტრაციო განყოფილების უფროსის განკარგულებაში ბათუმით მომავალ ქართველ სამხედრო ტყვეთა გამოსაკვებ და საგზაო ხარჯების დასაფარავად.

— დახურულ კრედიტების აღდგენისათვის საჭიროა დაინტერესებულმა უწყებამ გამოითხოვოს ფინანსთა მინისტრის და სახელმწიფო კონტროლიორის დასტური თვითეულ კერძო შემთხვევაში ცალკე.

— გადაიდოს სოხუმ-ახალ სენაკის გზატკეცილის შესაკეთებლად 500,000 მანეთი.

— გადაიდოს 300,000 მანეთი ახალციხე ახალქალაქ-არტაანის გზატკეცილების შესაკეთებლად.

— მოწონებულ იქნა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტი სამინისტროსთან ტეხნიკური კომიტეტის დაარსების შესახებ და ამ მიზნისათვის გადაიდოს 10 მილიონიან ფონდიდან 10,000 მანეთი.

— ფინანსთა მინისტრს დაევალა მოახდინოს თავის უწყებაში შტატების შემცირება, შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთათვის სალიკვიდაციო ფულის მიცემით.

— მოწონებულ იქნა ვაჭრობა-მრეწველობის მთავარი პროექტი ჩათახის ქარხნის მუშაობის განახლების შესახებ. ამ საქმისთვის ფინანსთა მინისტრს დაევალა გაგზავნა ჩათახის მადაროებში და ქარხანაში სპეციალისტ ინჟინერებისა.

— კანონ-პროექტი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოებისათვის ხუთი მილიონი მანეთის სესხად მიცემის შესახებ მოწონებულ იქნა.

იონა მ. მეუნარგია

იმსხვერპლა უმწიკვლო ადამიანი მძიმე სნეულებამ.

გარდაიცვალა ჩვენში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე იონა მიხეილის ძე მეუნარგია.

განსვენებული ნიჭიერი ბიოგრაფი და თვითმმართველობის საქმეების მცოდნე პირი იყო. მას ამ უკანასკნელ ხანებში ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობისა და სამაზრო ერობის ხმოსანთა შორის საპატიო ადგილი ეკავა. მიმართულებით განსვენებული არ იყო სოციალისტი, მაგრამ სიმართლის მოყვარული, ყოველთვის აფასებდა ჩვენი დემოკრატიის მოღვაწეობას და სიტყვით თუ საქმით ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკის გამაგრებას უწყობდა ხელს.

ასეთი ადამიანი დაჰკარგა ზუგდიდის მაზრამ და ქართველმა საზოგადოებამ. ამ დანაკლისით გამოწვეული მწუხარება დიდია და საერთო ხასიათი აქვს.

იახ. მუჯირი.

ექვთიმე ანტონის ძე კოპლატაძე

12 აპრილს, ბაქოში რკ. გზის საავადმყოფოში, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ამხ. ექვთიმე ანტონის-ძე კოპლატაძე.

ის იყო ჩვენი პარტიის წევრი, მას კარგად იცნობონენ ბაქო-ბალაჯარის მუშები, იცნობდა აგრეთვე მას ბევრი ჩვენი მოწინავე ამხანაგებიც და როგორც მოხუცს და საუკეთესო მისწრაფების კაცს, პატივსა სცემდნენ, განსვენებული მწერლობასაც ეტანებოდა და მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური სწავლას მოკლებული იყო, მან თვით განვითარებით იმდენი შეიძინა, რომ შესძლო პატარა წიგნაკის დაწერა, რომელიც გამოსცა ზ. პაპინაძემ („რუსეთის დიდი რევოლიუცია"—ლექსათ).

ამხ. ექვთიმეს დაკარგვა უსათუოდ დანაკლისია ჩვენი პარტიისთვის, როგორც სპეტაკის, გამოცდილი მუშის.

მშვიდობით მოხუცო ექვთიმე! შენი კარგი თვისება და საუკეთესო მიზნებისათვის შრომა შენი მეგობარ-ამხანაგებისათვის დაუვიწყარი იქნება.

ქრისტეფორე მანჯგალაძე.

საქ. პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა

რეალური სამუშაო ქირა და სიძვირე.

(ი. გოლდმანის მოხსენება).

(დასასრული)

ტარიფი და სატარიფო პერიოდები.

მე არ ვიტყვი, რომ ამით სიძვირის ყველა მიზეზები მოისპობიან. მაგრამ ეს ის ზომაა, რომელიც მოსდის პროფესიონალურ კავშირებს და რომელიც, ეჭვი არაა, შეეფერება მუშათა კლასის ინტერესებს. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ სამუშაო ქირა ყველა პროფესიონალურ კავშირისთვის უნდა წესდებოდეს ერთ დროულად, რომ ამას თვალყურს ადევნებდეს სპეციალური ორგანო, რომელიც ყოველი დარგის შრომის სპეციფიურ პირობებს გაარჩევდა. ისინი დააწესებდენ სატარიფო პერიოდებს, მაგალითად 1 იანვრიდან 1 ივნისამდე, რომლის განმავლობაში ტარიფები ვერ შეიცვლებოდა, თუ რამე არაჩვეულებრივი პირობები არ იქნებოდა. ეს შეიტანს გარკვეულობას და შეძლებას მოგვცემს ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები. და თუ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ საჭირო იქნება სამუშაო ქირის მომატება, მაშინ აუცილებელი იქნება, რომ მოთხოვნილებით გამოვიდნენ ყველა კავშირები, რომ ყველა მუშებმა გამოსთქვან აზრი და არა კერძო ჯგუფებმა. მე ვიცი შემთხვევა, როცა ერთმა კავშირმა დღიურად გამოიანგარიშა მინიმუმი 100 მან. სხვა კავშირის მუშებმაც გამოიანგარიშეს ეს და გამოირკვა, რომ ეს დღიური მინიმუმი მეტად გადიდებული იყო ბაზრის ფასებთან შედარებით. აქედან აშკარაა, რომ ამ კითხვებში უნდა სუფევდეს ერთიანება და შეზღუდულ იქნას თვითნებობა. კავშირმა, რომელიც აძლევს მოთხოვნილებებს, უნდა დაამტკიცოს, თუ როგორი იყო რეალური სამუშაო ქირა და როგორ შეიცვალა იგი, რადგანაც არ შეიძლება მოთხოვნილების წამოყენება, თუ ის არ ემყარება სწორე ეკონომიურ ფაქტებს. დაუსაბუთებელი მოთხოვნილების წამოყენება საერთოდ— და მით უმეტეს წარმოების ეხლანდელ მდგომარეობაში—არ შეიძლება. საჭიროა გამოსვლა ციფრებით. ეს მოხდება მაშინ, როცა ყველა გაატარებს ერთ საერთო ხაზს. სამუშაო ქირის აწევა თუ დაწევა ყველა მუშათა საქმეა და არა ცალ-ცალკე კავშირებისა.

სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკა.

რომ თავიდან ავიცილოთ შესაძლებელი შენიშვნები იმის შესახებ, რომ ჩვენ სიძვირესთან ბრძოლის მთელ სიმძიმეს მუშებს ვაკისრებთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სიძვირესთან ბრძოლა აწევს არა მარტო მუშებს, არამედ, და უმთავრესად, სხვადასხვა ორგანიზაციებზე და უპირველესად ყოვლისა მთავრობის ორგანოებზე. უნდა ტარდებოდეს ნამდვილად ისეთი პოლიტიკა, რომ შეიქმნეს ნამდვილი პირობები სახალხო მეურნეობის განსავითარებლად. ჩვენ არ ვმალავთ, რომ რაც უნდა დიდი არ იყვეს შრომის ნაყოფიერება, თუ ეკონომიური პოლიტიკა სახელმწიფოში სწორედ არ ტარდება, მაშინ ვერავითარი ძალები მუშებისა ვერ შეჰქმნიან იმ პირობებს, რომლებიც საჭირო იქნება სახალხო მეურნეობის გასავითარებლად.

წარმოებათა სინდიკაცია.

აქ კითხვა გადადის სხვა დარგში. მე არ შევჩერდებოდი მასზე, რადგანაც ის გამორკვეულ იქნება სხვა ადგილას, მაგრამ მე მსურს დავსახო სახალხო მეურნეობის პოლიტიკის საერთო ხაზები. მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფო უნდა დაადგეს ფართო სინდიკაციის გზას. უნდა გამოვნახოთ ისეთი ღონისძიებანი, რომ უცხო კაპიტალი დაბანდდეს აქ, და ამასთანავე უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ კაპიტალი ჩვენ წინააღმდეგ კი არ მოქმედებდეს, არამედ ჩვენდა სასარგებლოთ. ამგვარად მე აღვნიშნავ იმ გზას, რომელიც სწორია და რომლის განხორციელებაც სავსებით შესაძლებელია, ეს ჩვენ გვასწავლის იმ მიმართულებას და გაგვიადვილებს იმ ნაბიჯებს, რომელიც მიგვიყვანს სოციალიზმამდე. სოციალიზმი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს კაპიტალისტური წარმოება, მსხვილი მრეწველობა, საქართველოში რომ იყოს ისეთი კაპიტალისტური მეურნეობა, როგორიც არის მაგ. ამერიკაში ანდა გერმანიაში, სადაც შესაძლებელია სოციალიზმის განხორციელება, ეს იქნებოდა, რასაკვირველია, ძლიერ კარგი ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ ეკონომიურათ ჩამორჩენილი ვართ, ჩვენ ჯერ უნდა მივაღწიოთ წარმოების იმ ფორმებს, როგორიც არსებობს დასავლეთ ევროპაში.

თუ ჩვენ ახლავე მოვინდომებთ სოციალიზმის სამეფოში გადასკუპებას, ჩვენ დავემსგავსებით ბოლშევიკებს, რომლებიცა დაიწყეს სოციალიზმით და დაამთავრეს თავიანთი მოღვაწეობა უცხოელ კაპიტალისტების კონცესიის მიცემით. რუსეთი ეკონომიურათ ძლიერ ჩამორჩენილი ქვეყანაა. ეხლა განზრახულია წარმოებათა სინდიკაცია. ეს არის ერთი საუკეთესო საშუალება კაპიტალის დასაბანდებლად. ამ პირობებში კაპიტალისტი უზრუნველყოფილია, რომ ის რასაც დააბანდებს, მას არ დაეკარგება და გააკეთებს მას, რის ძალაც შესწევს. ჩვენ არ შეგვწევს უნარი მწარმოებლების დაუხმარებლივ ვაწარმოვოთ სახალხო მეურნეობა: ერთად ერთი საშუალებაა, რომ სახალხო მეურნეობის წარმოება არ იყოს მიმართული ჩვენ წინააღმდეგ, ეს არის წარმოების სინდიკაცია. ეს არის ის საერთო მიზანი, რომელიც დასახული უნდა ჰქონდეს მთავრობას, და თუ მწარმოებლები რომელიმე წარმოების დაკეტვას მოისურვებენ, სახელმწიფომ მისი სინდიკაცია უნდა მოახდინოს. ჩვენ თქვენთან ერთად ვიმუშავებთ, რომ შევქმნათ ახალი ღირებულებები და ნაციონალური ფონდი და იმედია თანდათან შევქმნით ბაზას სახალხო მეურნეობის გასავითარებლად. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ მარტო პროფესიონალურ კავშირებს არ აქვთ დაკისრებული მძიმე მოვალეობა წარმოების აყვავებისა. საჭიროა დიდი გამოცდილება, რომ მოვატანოთ სარგებლობა სახალხო მეურნეობას. არის მთელი რიგი მოვალეობისა, რომელიც ეკისრებათ სხვადასხვა ორგანიზაციებს. ჩვენ ვიცით, რომ რეალური სამუშაო ქირა არ იზრდება, არამედ მცირდება, მაგრამ მუშები ითხოვენ, რომ სამუშაო ქირის ნატურალიზაცია მოხდეს. ისინი თანახმა არიან იმუშაონ იმ ხელფასის მიხედვით, რომელიც ამჟამად არსებობს, ოღონდ საშუალება ჰქონდეთ იცხოვრონ. ისინი სურსათს დღეს სამჯერ ნაკლებს იღებენ, ვიდრე წინათ, ომამდე. მიწოდება და განაწილება სურსათისა—ეს მოვალეობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა უნდა თავს იდვან, ეს მიზანი პოლიტიკური არ არის, ეს არის ეკონომიური. რამდენათაც ნაკლები იქნება ქაღალდის ფული, მით მისი ფასი მეტია. ჩვენ აქ უნდა გადავწყვიტოთ ის კითხვები, რომლებიც შეეხებიან სამუშაო ქირის ხელფასს. თუ ჩვენ ერთ დამაბრკოლებელ მიზეზს მოვსპობთ, ეს გაადვილებს სხვა დაბრკოლებათა გადალახვასაც.

სამუშაო ქირის ტარიფის დაწესება.

სამუშაო ქირის საკითხის სწორი გადაწყვეტა მოითხოვს არა იძულებითი ანდა კანონმდებლობითი მის გადაწყვეტას, არამედ ეს უნდა მოხდეს შეთანხმებით მწარმოებლებთან. ჩვენში არსებობს დიდი გამოცდილება ამ საკითხში, გვაქვს მთელი რიგი კოლექტიური ხელშეკრულებისა. მუშებმა შეითვისეს ეს წესები და შეთანხმების საშუალებით გაძლიერებმა კავშირებმა გამოიმუშავეს სამუშაო ქირა და დააწესეს საქონლის ნორმა, რომელიც მუშამ უნდა დაამუშაოს განსაზღვრულ დროს.

სატარიფო პალატა.

ყველა ეს კითხვები უნდა გადასწყდეს სპეციალურ დაწესებულებაში სატარიფო პალატაში. ეს პალატები უნდა დაარსდეს პერიოდულ ნიადაგზე და პერიოდულათ უნდა გადასინჯოს არსებული ტარიფები და დააწესოს სამუშაო ქირა კვალიფიკაციის ხარისხის მიხედვით და ბაზარზე არსებული სიძვირის თანახმათ, სამუშაო ქირის დაწესება მოხდება მთელ რესპუბლიკაში ერთ და იმავე დროს, თუ ვინიცობაა საქონელზე ფასები აიწევს, სატარიფო პალატა მოვალეა ან თვით ანდა მუშების მოთხოვნით გადასინჯოს რესპუბლიკაში არსებული სამუშაო ქირა. ანდა გადასინჯოს და მოუმატოს სამუშაო ქირა იმ რაიონში, სადაც საზოგადოდ ფასი აიწევს. თუ პალატაში საქმე შეთანხმებით არ გადასწყდება, მაშინ საკითხი საბოლოოდ გადასწყდება არბიტრაჟის საშუალებით. ამ გვარად საკითხები ზევიდან კი არ სწყდება ბრძანებით, არამედ ხდება შეთანხმება მუშებს და მწარმოებლებს შორის, ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია და ხელს შეუწყობს წარმოების განვითარებისა. პრაქტიკულათ შეიძლება ცოტა საძნელო იყოს ამის ცხოვრებაში გატარება, მაგრამ იმედია ამ დაბრკოლებებს გადავლახავთ. ეხლა ერთი დიდმნიშვნელოვანი მუშაობა ხდება: შემუშავებული იქნება ნიველირება ჯამაგირების არა მარტო სახელმწიფო მოხელეებისათვის, არამედ ქალაქის და ერობის მოსამსახურეთათვის.

თუ საჭირო ენერგიას დავახარჯავთ და საქმის შეგნებას გამოვიჩენთ, დასახული მიზანი განხორციელდება. სატარიფო პალატა შეაგროვებს ყველა მასალას ბაზარზე საქონელზე არსებულ ფასების შესახებ, გამოარკვევს შრომის პირობებს და მთელი რიგი ან არსებულ არანორმალურ მდგომარეობისა აცდენილ იქნება თავიდან. მართალია, სატარიფო პალატის მიერ დაწესებული სამუშაო ქირის მომატება ვერ აალღებს მუშებს გაჭირვებულ მდგომარეობას, თუ სხვა ზომებიც არ იქნა მიღებული. მაგრამ ამ სატარიფო პალატის მუშაობა ჩვენ შეგვასწავლის და გამოგვანახვინებს იმ ახალ გზებს, რომლითაც უნდა ვებრძოლოთ არსებულ სიძვირეს.

კავშირების ახლობელი მიზნები

ყრილობამ უნდა გაითვალისწინოს ის პირობები, რომლებშიაც იმყოფება მუშათა კლასი საქართველოში, რომელზედაც დამყარებულია მთელი პასუხისმგებლობა რესპუბლიკის არსებობის და შექმნილი მდგომარეობა გვაიძულებს, თუ კი გვსურს, წარმოება ავყვავოთ დაჟინებით, რომ სამუშაო ქირა დაწესდეს დამუშავებულ საქონლის რაოდენობის თანახმად. და საჭიროა ერთ და იმავე დროს მთელ საქართველოს ტერიტორიაზე დაწესდება მუშების სატარიფო კასსა, რომელიც პერიოდულად გადასინჯულ იქნება.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ვიღებთ რა მხედველობაში, 1) რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ისეთ პირობებშია, რადგანაც მოსალოდნელია ნაციონალური ფონდის გამოფიტვა, რადგანაც საერთო წარმოება ნაკლებია, ვიდრე ეს შეეფერება ნორმალურ მოთხოვნილებებს. 2) მუშათა კლასის ხელფასის პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭიროა მტკიცე ეკონომიური ბაზა სახალხო მეურნეობას. 3) ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ გატარებულ იქნება მტკიცე ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც შეთანხმებული იქნება რესპუბლიკის ყველა ორგანოებთან და ასეთი პოლიტიკა გატარდება საზოგადო სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროებში. მთავრობა, თანახმად შრომის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებისა, ასეთი გეგმის შემუშავებას უკვე შეუდგა, რომელიც განამტკიცებს სახალხო მეურნეობას. მთავრობა შეეცდება უზრუნველყოს ქვეყანა ნედლი დასამუშავებელ მასალით, შეეცდება გააუმჯობესოს წარმოების ტეხნიკური მხარე, დაეხმარება მუნიციპალურ წარმოებებს, ხელს შეუწყობს კაპიტალის იმიგრაციას და სხვა. ყველა ამ ზომებთან მჭიდროთ არის დაკავშირებული მუშის შრომის ნაყოფიერება.

ყრილობა ფიქრობს: რომ დემოკრატიის და მუშათა კლასის ყველა ძალები უნდა იყოს მიმართული წარმოების განვითარებისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის მტკიცე ეკონომიური ბაზის შექმნას და რომელიც შესაძლებლათ გახდის მუშათა კლასის ინტერესების უზრუნველყოფას. 2) რადგანაც რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ საჭიროა შრომის განაყოფიერება: ყრილობა შესაძლებლათ სცნობს ხელფასი დაწესდეს დამუშავებული საქონლის რაოდენობის თანახმად და ნარდათ მუშაობა შეეფარდებს ადგილობრივ პირობებს. ასეთი მუშაობა დასაშვებია, თუ დაცული იქნება 8 საათის სამუშაო დღე. 3) საწარმოო ძალთა ინტერესები, წარმოების ნორმალური განვითარება, მუშათა უზრუნველყოფა ფიზიკურ გადაღლილობისაგან და აგრეთვე ორგანიზაციული ბრძოლა ხელფასის დაცვის წინააღმდეგ და რომ დაცულ იყოს მთლიანი პროფესიონალური მოძრაობა, საჭიროა ერთ და იმავე დროს მთელ რესპუბლიკაში გამომუშავებულ იყოს ხელფასის ტარიფი, რომლის დროსაც დაცულ იქნება შრომის კვალიფიკაცია და მიღებული იქნება ნაწილობრივ ტერიტორია წარმოებისა. 4) ტარიფის დაწესება, ხელფასის გადახდა ბაზარზე არსებულ სურსათის ფასებთან შეფარდებით და აგრეთვე სიძვირის მიზეზების გამორკვევა, ყველა ეს უნდა მიენდოს განსაკუთრებულ სატარიფო პალატას, რომელიც უნდა შესდგებოდეს მუშათა და მწარმოებელთა წარმომადგენლებისაგან; ამასთანავე ყრილობა აღნიშნავს მუშათა კლასის მიერ ნამდვილათ შეგნებას თავის მოვალეობისას სახალხო მეურნეობის აყვავებისათვის და ავალებს მთავრობას მიიღოს ყოველივე ზომები სასურსათო კითხვის მოსაწყობათ და შეებრძოლოს სპეკულიაციას.

რკინის გზაზე

„ერთობის" მე-35 ნომერში მოთავსებულია წერილი ვინმე „მ—ლისა", სათაურით „რკინის გზაზე". ამ წერილის გამო „რკინის გზის ადმინისტრაციამ, პროფესიონალურ კავშირთა წევრების თანდასწრებით, ადგილობრივ გამოიძია საქმის ყოველმხრივი გარემოება და გამოარკვია შემდეგი: სამ თებერვალს მიმდინარე წლის სად. ახალ-სენაკში შეხვედრიდან მატარებლები №№ 1 და 86. პირველად მოსულა მატარებელი № 86, რომელზედაც გაყიდულა ბილეთები, ეს გარემოება კი მაჩვენებელია იმისი, რომ ბილეთების მოლარეს არ შეეძლო სძინებოდა № 1-ის მოსვლის დროს, როგორც ამას აღნიშნავს გაზეთის კორესპონდენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივრის ადგილი ექნებოდა იმ მგზავრების მხრივაც, რომელნიც № 86 მატარებლით მოდიოდნენ.

ამავე მოსაზრებით შეუძლებელი იყო არ მიეცათ ნიშანი № 1 მატარებლის მოსვლის დროს, ზარის დარეკვით.

რაც შეეხება ხურდა ფულის უქონლობას, შექმნილ მდგომარეობის გამო, დღეს-დღეობით არც ერთ სადგურს არ შეუძლია მგზავრები დააკმაყოფილოს ხურდა ფულით, რადგანაც მგზავრებიც კი დაინტერესებულნი არიან ბილეთების შეძენის დროს როგორმე ხურდა ფული იხელთონ და ამიტომაც ყოველ მსგავს შემთხვევაში მოლარეებს მსხვილ ფულს შესთავაზებენ ხოლმე, რაიც აფერხებს სალაროში წვრილი ფულის ქონებას და ამასთანავე ხშირია შემთხვევა, რომ ზოგი მგზავრი ამას ვაჭრული მიზნითაც სჩადის.

ჩვენ მიერ მოყვანილი განმარტება დადასტურებულია, როგორც ზევით მოგახსენეთ, რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების მიერაც, რომელნიც უშუალოთ დაინტერესებულნი არიან რკინის გზის წარმოებისა და მმართველობის წეს-რიგში და თქვენი თანამშრომელი „მ—ლის" გამოსვლა ამ შემთხვევაში კარგავს ყოველგვარ ხასიათს მიუდგომელის და საღი კრიტიკისას, ვინაიდან „მ—ლი" არც ერთ ფაქტს არ აღნიშნავს სისწორით და ნებას აძლევს თავს შეუმოწმებელი ფაქტებით საერთოთ გამოაქვეყნოს თავისი შეხედულება. გვინდა ვიფიქროთ, რომ მსგავს წერილებს პატივცემული რედაქცია, მომავალში მხოლოდ სათანადო შემოწმების შემდეგ მისცემს ადგილს, რადგანაც ბოლო დროს ამ ხასიათის წერილებით თითქმის ყოველ დღე უმასპინძლდებიან რკინის გზას და ეს კი მტრულ განწყობილებას ჰქმნის და ბადებს რკინის გზის დემოკრატიის მიმართ. ვბეჭდავთ რა ამ განმარტებას ფართო საზოგადოების საყურადღებოთ და ბ. „მ—ლის" საპასუხოთ, ერთხელ კიდევ ვაცხადებთ საქართველოს მშრომელი ხალხის საყურადღებოთ, რომ საზოგადო საქმის კეთების დროს, დემოკრატიის სამსახურის ფხიზელ შესრულებაში, ჩვენ შეიძლება ზოგიერთი შეცდომა დაუშვათ, და ეს გვესწორება, მივიღებთ, მაგრამ, რადგანაც მართალნი ვართ, როცა მსგავს მიდევნებს არსად ადგილი არ ჰქონია და ამ მხრივ ჩვენი საზოგადოებრივი სინიდისი წმინდაა, ჩვენ, თამამათ ვაცხადებთ, რომ არავისი „არც გვრცხვენია და არც გვეშინია".

მოძრაობის უფროსი გრიგოლ აბელიშვილი.

რედაქციისაგან: ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად, მაგრამ მკითხველმა რომ დაინახოს, თუ რამდენად დასაბუთებულია ის, საჭიროა ხელახლად მოვიყვანოთ „მ—ლი"-ს შენიშვნა, რომლის დაბეჭდვიდან თითქმის სამ ნახევარი თვეა გასული. აი ეს წერილიც „რკინის გზაზე".

„სამ თებერვალს მომიხდა რკინის გზით სენაკიდან ფოთისკენ გამგზავრება. მატარებელი ჩვეულებრივ გადის დილით ხუთის ნახევარზე. მატარებლის მოსვლამდე ხუთი წუთით ადრე და გამოსვლის ზარი არავის დაურეკავს, ალბათ, უფროსებს ეძინა. მატარებელიც მოვიდა. მგზავრები ბევრი იყო, შეიქნა ყვირილი, ვინაიდან საბილეთო კასა არ აღმოჩნდა გაღებული. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მებილეთე სადგურის იქვე საბილეთო კასაში დაწოლილიყო და ძილს მისცემოდა. ზანტად გაიღო კასა და, ვითომდა მისი საკუთარი წყალობაა, ბილეთი მოგვაწოდა. ხურდა ფულები თუმცა ჰქონდა, მაგრამ არ შეიწუხა თავი. მიცემულ ფულს უკან უგდებდა. რა გზა

დაგვრჩენოდა, ან ფული უნდა ჩაგვეტანა ვენინა კასაში ზედმეტი, ან ფინილეთიდ უნდა დავრჩენილიყავით. ცოტა მგზავრი არ დარჩენილა იმ დღეს ფინილეთიდან გამო. აი ასეთ მაგალითებს აქვს ადგილი სენაკის სადგურზე და ასეთი მაგალითი პირველი შემთხვევაც არ არის.

მ—ლი".

აი ამ შენიშვნამ გამოიწვია რკინის გზის მოძრაობის განყოფილების წყრომა. „მ—ლის" შენიშვნაში მოყვანილია რამდენიმე კონკრეტული ბრალდება, აი ეს ბრალდებები უნდა დაერღვიათ. მაგალითად. „მ—ლი" ამბობს: ხურდა ფულები, თუმცა ჰქონდა, მაგრამ მაინც არ იძლეოდნო. ამის დასამტკიცებლად მოძრაობის განყოფილება მკითხველებს უმასპინძლდება მგზავრების გაბაამბრეებით, რაც დემოკრატიულ დაწესებულებას სრულიად არ შეეფერება.

სხვა ფაქტების შესახებაც ფორმალო მსჯელობაა და ლოღიკური დასკვნები: არ შეეძლო სძინებოდა, არ შეეძლო ზარი არ დაერეკა და სხვ.

ჩვენ, რასაკვირველია, ვენდობით პირადათ მათ, ვისაც ეს საქმე გამოეძიება, მაგრამ ამ წერილს მაინც ვერ ვენდობით გაბათილებულად. ამიტომ არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მოძრაობის განყოფილების საყვედური ჩვენ შეგვეხება.

ამ.-ძამზ. კოოპერ. თანამშრომელთა ყრილობა

ამ დღეებში თფილისში გაიხსნება ამიერ კავკასიის კოოპ. თანამშრომლების ყრილობა. ჩვენი კოოპერატივების მოსამსახურეთა ცხოვრებაში ასეთი ყრილობა პირველია და ამიტომ ის მეტად საყურადღებოა. კოოპერატიული მოძრაობის დიდი ხნის ისტორია არ აქვს ჩვენში. პირველ ხანებში ეს მოძრაობა სუსტი იყო, მაგრამ მალე მოღონიერდა და სულ ერთიანად ჩაითრია ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი და დღეს იგი დიდ ძალას წარმოადგენს, როგორც საზღვარ-გარეთ, ისე რუსეთში და ამიერ-კავკასიაშიც კი. კოოპერაცია ხელს უწყობს ჩვენში კულტურულ, ეკონომიურ და სოციალურ იდეალებისთვის ბრძოლას და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად დამოუკიდებლობის შექმნას. შედარებით მცირე დროის განმავლობაში კოოპერ. ჩვენში ძლიერ განვითარდენ. კოოპერატივებში თავს იყრიდენ ჩვენი ამხანაგები და ამ ბანაკიდან ავრცელებდენ კოოპერატიულ იდეებს. ახალმა ცხოვრებამ ჩვენს კოოპერატივებს და მათ მამოძრავებელ ძალებს ახალი ვალდებულება დააკისრა, ვალდებულება მძიმე და საპასუხისმგებლო. კოოპერატივებს ჰყავთ თავისი ცენტრალური ორგანო—გამგეობა, მაგრამ გამგეობა უძლურია აწარმოოს თავის ფართე მოღვაწეობა, თუ მათ გვერდში არ უდგანან კოოპერატიულ იდეით და საზოგადო აზრებით გამსჭვალულნი თანამშრომლები-მოსამსახურენი. ამ უკანასკნელთ დიდი მნიშვნელობა აქვთ კოოპერაციაში. ახლო მომავალში თფილისში მოწვეულ მათ ყრილობას ფრიად საინტერესო კითხვები აქვთ გადასაჭრელი და გამოსარკვევი, რომ ყრილობაც ამ საკითხებს ისე გადასჭრის, როგორც ამას მოითხოვს დემოკრატიის ინტერესები.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ქალაქის ბაღები

თფილისის საქალაქო ბაღები ძლიან ცუდ მდგომარეობაშია. ბაღებში საგანგებოთ გაკეთებულ სასეირნო დიდ და პატარა გზებს და ბილიკებს დღეს ყურადღებას არავინ აქცევს და მოსეირნე „საზოგადოება" ამით არ კმაყოფილდება; გარდა ამისა სასეირნო-სასიარულო გზებისა მას გაუკეთებია კიდევ ათასი სხვა ახალი „სასიარულო" გზა-ბილიკები. „საზოგადოებას" არ აშინებს არც ეკლიანი მავთულების ღობეები და არც მებაღე-მოსამსახურების შენიშვნა და ხვეწნა-მუდარა, რომ არ თელონ მწვანეებზე, ნუ წაახდენენ ყვავილებს, ბალახებს და სხვა ამნაირით, ბაღების გაფუჭებაში დიდ გულმოდგინებას იჩენენ განსაკუთრებით ბავშვები, თუმცა მოზრდილებიც ღირსეთ არ ჩამოუვარდებიან მათ. საკვირველი ის არის, რომ ბავშვების მშობლებ-მზრდელები, ხშირად ინტელიგენტი ხალხი, ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ, ბავშვებს არ უშლიან ბაღის განადგურებას და ამით დიდი ზარალი მოაქვთ ქალაქის მცხოვრებთათვის, რომლებიც ასე საჭიროებენ სუფთა ჰაერს. ალექსანდრეს ბაღში შეხვდებით აგრეთვე ამნაირ სურათს: ავერ მოქალაქეს დაუდგამს ფოტოგრაფიული აპარატი, იქვე მწვანეზე გადაუშლია თავისი მოწყობილობა, ცოტა იქით ყვავილებში გამოუფენია სურათები და სხვა.

წინ გეშლებათ ამნაირი სურათი: ერთის მხრით ქალაქს ჰყავს მებაღეები, ბაღის დარაჯები, რომლებიც მუშაობენ, აკვავებენ, ამშვენიერებენ ბაღს; მეორეს მხრით ეს ხარჯი, ეს შრომა მიდის ფუჭად, რადგან, თუ ერთი აკეთებს, ასი ახდენს, აფუჭებს და ყურადღებას ამ გარემოებას არავინ აქცევს. საჭიროა ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას.

მაკარი გოგებაძე.

ს.-დემ. პარტიაში

თბილისი. მთავარი სახელოსნოები. 5 და 6 მაისს შესდგა მთავარი სახელოსნოების ქვეკოლექტივების და ცეხების ორგანიზაციების წევრების კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. სილ. ძნელაძე. მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე, მისი სიტყვით, იმის მაგიერ, რომ გაგვეფართოვებინა მუშაობა, ამხანაგებს რაღაც დაღლილობა შეჰპარვიათ, ამიტომ საჭიროა ენერგია გავაორკეცოთ და მეტი უნარი გამოვიჩინოთ, რომ კვლავ ავამუშაოთ ყველა ნაწილები პარტიული მანქანისა. კრებამ დაადგინა მოახდინოს რეორგანიზაცია და აირჩეს ახალი წევრები ქვეკოლექტივებისა. შემდეგ თავმჯდომარე შეეხო პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვებს. საჭიროდ სთვლის, რომ ეკონომიური კითხვები არჩიოდეს პროფესიონალურ კავშირში და პოლიტიკური კი ქვეკოლექტივებში. რაც შეეხება ზოგადერთ კითხვებს, მათ განხილვაში ორივე ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. კრებამ მიიღო ეს წინადადება. აქვე მოხსენებას აკეთებს ცენტრალური პროფესიონალური კავშირის წევრი ამხ. ძამაშვილი, რომელიც ციფრებით აცნობს კრებას, სიძვირის ფასის მომატებას მუშა-მოსამსახურეებისთვის, თუ ვის რამდენი მიემატება; ჯამაგირების მომატების შესახებ აცნობს, რომ მიემატებათ ცოდნისა და ღირსების დაგვარათ. 6 მაისის კრებაზე თავმჯდომარე აცნობს კრებას, რომ ახლო მომავალში მოხდება პირველი რაიონის კონფერენციის მოწვევა. მთავარი სახელოსნოებიდან 50 კაცზე უნდა იქნას არჩეული ერთი კაცი. შ. დედანაშვილი.

ახალდაბა-ბაბარაძე (ბორჯომის რაიონი). 16 მაისს მოხდა პარტიული კრება. მოხსენება გააკეთა მომენტზე ამხ. ნ. შახნაზაროვმა. მიღებულ იქნა ახალი ორი წევრი და მასთან წრემ აირჩია კომისია სამი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა ახალი წევრების მისაღებათ წინასწარი გამოძიება და შემდეგ პარტიაში საკითხის დასმა კომისიის დასკვნით. კრებამ დაადგინა აგრეთვე წევრების გაფრთხილება, რადგანაც ზოგიერთი ამხანაგები არღვევენ პარტიის დისციპლინას, რაც ყოვლად დაუშვებელია. მდივანი ე. ხირაძე.

საჩ. ქახაში დაარსდა ს.-დ. პარტიული იაჩეიკა. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ზალვა ელენტ. კახპელი მუშა.

პროვინცია

ბორჯომი. 11 მაისს მოხდა ბორჯომის რაიონის სამხედრო წვრილ ერთეულის ხმოსანთა კრება, რომელსაც 55 ხმოსნიდან დაესწრო 28. კრება გახსნა გორის სამხედრო ერობის ხმოსანმა ნ. დღეგიძემ. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ს. ლომიძე, მდივნათ გ. ლომსაძე. ერობის მნიშვნელობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა გორის სამხედრო ერობის წევრმა ამხ. რ. გაგუამ. იმავე პარაკეს აგრეთვე სამხედრო ერობის ხმოსანმა ექ. ს. კანდელაკმა და კ. შახნაზაროვმა, რომელთაც შეეხეს საკითხების შემდეგ სხვა და სხვა ახსნა განმარტებით დაუსურათეს დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. ამის შემდეგ მოხდა წვრილი ერთეულის პრეზიდიუმის არჩევნები, რომელიც შესდგება სამი პირისაგან. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ექ. მიქაბერიძე, თავმჯდომარის ამხანაგად გ. რაზმაძე და მდივნათ ივ. ხმალაძე. კანდიდატებათ კ. შახნაზაროვი, ნ. სარალიძე და იორამ ტაბატაძე.

ჯამაგირები თავმჯდომარეს, მის ამხანაგს და მდივანს დაუნიშნეს 800 მანეთი თითოს.

როგორც ხმოსანთა მოხსენებიდან გამოირკვა, ყველაზე უფრო მწვავეთ დგას რაიონში სასურსათო საკითხი. ხორბლეულობა ჯერ არც იშოვება და სადაც არის სიმინდი 120 მან. ფასობს ფუთა და პური კი 200 მანეთი. თავდაპირველათ გამგეობამ ამ საკითხს უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება.

დაბოლოს ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას. ნოდო.

ქარელი. ეს რამდენიმე დღეა, რაც ქარელში მოეწყო ქარელის უბნის სამომრიგებლო სასამართლო და მოსამართლემ უკვე დაიწყო თავის მოვალეობის აღსრულება. აქაური მოსამართლეს, მართალია რომ რთულ და ძნელ პირობებში მოუხდება მუშაობა, მაგრამ იმედია ის შესძლებს მიანდობის საქმეს. რასაკვირველია, მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლიან აასრულოს ყოველივე დაკისრებული მოვალეობა თუ ქარელის მოწინავე პირებმა, როგორც ერობის წვრილ ერთეულის ხმოსნებმა და გამგეობამ, აგრეთვე კომისრებმა და სხვ. ხელი შეუწყონ მას და ყოველივე კანონიერი განკარგულებანი და რჩევა სისრულეში მოიყვანონ. თუ დღეს არსებობს ქურდობა და უკანონოთ მამულის მითვისება, ამას რამდენიმე ხანში ბოლო მოეღება, როდესაც ძალმომრეები და ქურდ-ბაცაცები გაიგებენ, რომ არსებობს კანონი, რომელიც მათ სასტიკათ დასჯის.

აქ უკვე მოწყობილია ერობის წვრილი ერთეული და გამგეობის თავმჯდომარეთ ამოირჩიეს ვანო ალექსიძე.

ქარელის ქუჩებში წვიმის შემდეგ გავლა თითქმის შეუძლებელია. ღამით ისეთი საბნელეა, რომ კაცმა შეიძლება თავპირი დაიმტვრიოს. ქუჩების გვერდით ჰაუზები და უზარმაზარი ხავსში ბაყაყები თავის ყიყინით აყრუებენ სოფელს. ბაყაყების ფეხფრთხილობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

არ შეიძლება ვსთქვა, რომ ქარელში ყველგან შეუგნებელი იყოს. მათ-და სასახელოთ შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის პირველ დღიდან დღემდე აქ არავითარი ანარქიას არა ჰქონია ადგილი და ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ აქაური ხალხი შეგნებულად შეხვდა რევოლუციას. არც ის შეიძლება ითქვას, რომ ქარელი ღარიბი სოფელი იყოს. სოფელს მაღალი წინამძღოლი სჭირია და ეს წინამძღოლი კი უნდა იყოს ერობა. დარწმუნებული ვარ, რომ, ერობა როცა შეუდგება საქმეს, ქარელის საზოგადოება არ დაიშურებს არც შრომას, არც ფულს თუ კი მათ-და საკეთილდღეოთ გაკეთდება რაიმე. ვუსურვებ ქარელის ერობის წვრილ ერთეულს ნაყოფიერ მუშაობას. გ. ძ.

დიდი ჯიხაიში. ადგილობრივ ს.-დ. კოლექტივის და სახ. გვარდიის შტაბის ინიციატივით აქ მოხდა ფრონტზე მყოფ მეომართა უმწეო ოჯახების დასახმარებლად შეწირულების მოგროვება. შემოვიდა 2745 მ. 15 კ. ხარჯს გარდა დარჩა 2522 მ. 75 კ., რომელიც გადაეცა დანიშნულებისამებრ. აგრეთვე კოლექტივის და შტაბმა შექმნა კომისიები უბნობით რომლებიც საზოგადო ძალებით დაუმუშავებენ ფრონტზე მყოფ გვარდიელების და ჯარის კაცთა უმუშახელოთ დარჩენილ ოჯახებს მიწებს. X.

ახალციხე. მოგვყავს სია ახალციხის მაზრაში დახოცილ ქართველ სოფლების მცხოვრებთა: ს. ზედაშთაში 9 კაცი; ს. ტოლოში 25 ქალი, კაცი და ბავშვები; ს. რზეულში 15 კაცი; ს. მუსხში 12 კაცი; ს. ანდრიაწმინდაში 17 კაცი; სოფ. ღრელში 5 კაცი; ს. დადეში 12 კაცი და ქალი; ს. ვერხვიაში 14 კაცი; ს. ვალეში 25 კაცი და ქალი. გადამწვარია შემდეგი სახლები: ს. უდეში 20 სახლი, ეკლესია განადგურებულია; ს. ბრალში 60 სახლი; ს. ვალეში 8 სახლი; ს. ანდრიაწმინდაში 10 სახლი; ს. ვერხვიაში 15 სახლი; ს. ტოლოში 10 სახლი; სოფ. ღრელში თითქმის მთლად განადგურებულია სახლები: 100 კომლიდან გადარჩენილა 10 სახლი. ეკლესიები სულ განადგურებულია. ეს განადგურება და ხოცვა-ჟლეტა მოხდა ბეგების უკანასკნელ შემოსევის დროს. საქართველოს ჯარმა, როგორც ვიცით, მტერი დაამარცხა ბეგების ბანდები და გასწმინდა რესპუბლიკა მათ თარეშისაგან. X.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტ.! აბაშის რაიონ. სახ. გვარ. სასარგებლოთ შეწირულობათა სიაში, რომელიც დაიბეჭდა „ერთობის" 20 მაისის № ში, ალბათ კორექტურის შეცდომით, გამოტოვებულია წინადადება, სადაც უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რომ აქამდის მიღებულ შემოწირულ ფულით შტაბის მიერ შესყიდულ იქნა ფრონტზე საჭირო ნივთები: საპონი, ძაფი, ნემსები, პაპიროსები და სხ., ხოლო გვარდიელთა ოჯახებს ამ ფულებიდან ჯერ არა მიუღიათ-რა. ამ მიზნით შეგროვილი ფული ამ დღეს დაურიგდებათ.

აბაშის რაიონის სახალხო გვ. შტაბის თავმჯდომარე არ. ფანცულაია.

ცნობები

სამსონ ეფთიმეს ძე კუშელავა ცხოვრობდა ქალაქ ნოვოროსიისში 1917 წ. პირველი რევოლუციის ხანაში. მას შემდეგ მისმა ჭირისუფლებმა არა იციან-რა. თუ ვინმემ რამე იცით იმის შესახებ, გთხოვთ მაცნობოთ ამ ადრესით: ქუთაისი, პუშკინის ქუჩა კარპეზ გობაშვილი.

ფოსტა

სამტრედია. ბ-ნ ელიზბაროვს. მივიღეთ თქვენი წერილი, რომელშიც თავს იმართლებთ. გაცნობებთ, რომ წერილი არ დაიბეჭდება. დავბეჭდავთ მხოლოდ სამეთვალყურეო სასამართლოს განაჩენს ან რკინის გზის ადმინისტრაციის გამოძიების შედეგს.

განცხადებანი

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ვლასაშვილის ხელმძღვანელობით. ხუთშაბათს 22 მაისს შვემბერგის, სპიტკოს, იანსას, კანშინის, ინაშვილის, ისეცკის, ნიკოლსკის მონაწილეობით

სადკო

პარასკევს 23 მაისს ორკესტრის ბენეფისი მე-14 ჯერ აბესალომ და ეთერი.

ბ. ვლადიმერ პეტრეს ძე ჩიხლაძეს. 15 დღის წინათ მამა ჩემმა გამოგატანათ თქვენ ჩემი „პასპორტი" ს. კიჩხჩადან (სენაკ. მაზ.) მე დღესაც არ მიმიღია „პასპორტი", ამიტომ გთხოვ ჩემი პასპორტი დაუყონებლივ ჩამაბაროთ. პატივისცემით ბესარიონ ელიზბარის ძე ლაპავა. 1—1

გიმნაზია ქ-ნ ეფემია სოლომონის ასულის

ბილანიშვილისა

მიღება და ჩარიცხვა საანბანო, უმცროს, უფროს მოსამზადებელ განყოფილებებში 1, 2, 3, 4 და 5 კლასებში ეხლავე. სწავლის მოწყობა დაიწყო ამ თვის 20-დან. რუსებისთვის არის პარალელური განყოფილებები. გიმნაზია არის ნაძალადევში ლოტკინის ქ. № 36. 3—1

ძ. ი ზუბალაშვილის სახელობის ქალ.

სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 22 მაისს მეორედ წარმოდგენილი იქნება:

ყაჩაღები

ტრ. 5 მოქმ. და 8 სურათ. შილერისა, თარგ. ი. ავალიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: თ. გოგოლაშვილი, ბ.ბ. ს. რამიშვილი, ა. თავდგირიძე, ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, გ. ანაშვილი, კუპრაძე, რ. სალაყაია, ა. შანშიაშვილი, ვ. კობელი, გ. თაზიშვილი, ა. მეტრეველი და სხვები.

რეჟისორი ვ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი 5 მანეთიდან 15 მ.-დე.

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 10—12 ს.-ე და საღ. 6—8 საათ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (2—2)

ექიმი ლ. ა. ხარაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, [illegible] ახლოს.

ექიმი მ. ზ. მხალოხლიშვილი

ქალთა და სამეანო ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათ., [illegible] ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი ა. მ. პაატაშვილი

იღებს ბავშვთა შინაგან და სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ. № 48.

ექიმი ლ. ი. ცაბაძე

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღ 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი ლ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა: ვერა, გუნიბის ქ. № 61. ტელ. № 14—60.

ექიმმა ი. ზ. ხავიძორავა

განაახლა მიღება ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებისა. ავათმყოფებს იღებს დილის 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა № 2 ტელ. 4—15.

ექიმი ქალი რ. მ. შიშლო-ბაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ბერლინის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამეანო დარიგებებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მიასკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ბესარიონ პოპოვი

განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო (მუდმივი საწოლებით) ექიმი ლოხნინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ნახ. საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 141, (ცინემატოგრაფ „აპოლონის" ახლოს). მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელ. 5—97.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ბ. მუზარაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრონი წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ის სხივებით, დიდი სოლუქსით და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—92.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, საბავშო და ქალთა სნეულებიან ავათმყოფთ დღისით 12—2 ს. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ნ. ბ. ზაფრაძე.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914"), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. ბინა: ოლღინის ქ. № 33.

ექიმი მ. ი. ზარიმიანი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ბინა ოლღის ქუჩა № 24, ტელეფ. 1—35

ექიმი ლ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, გულის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი ამილიან ბაგულის ძე ტურუშაძე ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პრ. 34. ტელ. 10—81.

გახსნილია კერძო სამკურნალო მუდმივი საწოლებით. მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფები.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლლოს" გვერდით) ტელეფონი 5—97, ავათმყოფებს მიიღებს სპეციალისტი ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა. სტაციონალური ავადმყოფები მიიღებიან სრულ პანსიონით.

ექიმი მ. ქადიაშვილი

სპეციალურად: შინაგანი და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფები: მალარია, ტუბერკულიოზი, გულის, ფილტვების და ნაწლავების სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. სახლში ვიზიტებს ავადმყოფებს ვიზიტის საავადმყოფოში 1 საათ.—3 საათ. ბინის მისამართი: პეტროპავლოვსკის ქ. № 4, კუთხე მიხეილის პროსპექტისა, კირილიას ეკლესიის მახლობლად, ტელეფონი 8—48.

[illegible]